

## CENN-ისა და ICOMOS საქართველოს განცხადება

### მადნეულისა და საყდრისის საბადოებზე სამთო-მოპოვებითი სამუშაოების განხორციელების შედეგად ბუნებრივ და სოციალურ გარემოსა და კულტურულ მემკვიდრეობაზე გამოწვეულ ზემოქმედებასთან დაკავშირებით

წიაღისეულის მოპოვება უმეტეს შემთხვევაში არის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის მაღალი რისკის მატარებელი საქმიანობა. აღნიშნული რისკის მიმართ განსაკუთრებით მოწყვლადი განვითარებადი ქვეყნები არიან, სადაც, როგორც წესი, სუსტია საკანონმდებლო ბაზა, ინსტიტუციური მოწყობა და საზოგადოების როლი სახელმწიფოს განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრაში. წიაღისეულის მოპოვების შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანი და მისი გავრცელების არეალი საკმაოდ დიდია და მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული; გარემოზე შესაძლო გავლენის სათანადო კვლევისა და შეფასების გარეშე სახელმწიფომ წიაღისეულის მოპოვების წარმოებიდან მიღებული მოკლევადიანი ფინანსური ეფექტის საპირისპიროდ დიდი ალბათობით, შესაძლოა, მიიღოს გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების სერიოზული შემაფერხებელი შედეგები, როგორცაა: არასწორად დაგეგმილი და არასწორად განხორციელებული წარმოებიდან მიღებულ შემოსავლებზე რამდენჯერმე დიდი, გარემოს აღდგენისათვის საჭირო, ფინანსური დანახარჯები.

საქართველო წიაღის მოპოვების დიდი მასშტაბებით არ გამოირჩევა. თუმცა ქვეყანაში მოქმედი რამდენიმე შედარებით მსხვილი მასშტაბის საწარმოდან არც ერთი არ აკმაყოფილებს გარემოსდაცვით სტანდარტებს. საქართველოში მოქმედი სუსტი მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზისა და აღსრულების მიუხედავად, წიაღის მოპოვებელი საწარმოების არც ერთი გარემოსდაცვითი ინსპექტირების შემთხვევა არ დასრულებულა მნიშვნელოვანი დარღვევების დოკუმენტირების გარეშე. მსგავსი ვითარება წლების განმავლობაში გრძელდება, მაგრამ, კომპანიებისთვის დაკისრებული ჯარიმების მიუხედავად, საწარმოები ზრდიან წიაღის მოპოვების მასშტაბებს და მაქსიმალურად ცდილობენ, ზეგავლენა მოახდინონ სახელმწიფო სტრუქტურებზე, იმ მიზნით, რომ შერბილდეს და/ან გაუქმდეს მათთვის 'არასასურველი' რეგულაციები.

გარემოზე ზიანის მიყენების დიდი მასშტაბის მხრივ საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი მადნეულის სპილენძისა და საყდრისის ოქროს საბადოები და წიაღისეულის მოპოვების იქ მიმდინარე თუ დაგეგმილი პროცესი. აღნიშნული წიაღისეულის მოპოვება 70-იანი წლების ბოლოს დაიწყო და, მიუხედავად მრავალი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ცვლილებისა, დღემდე აქტიურად მიმდინარეობს. განვლილი წლების მანძილზე საწარმოო პროცესების დარღვევის მრავალი ფაქტისა და მათზე სათანადო რეაგირების არარსებობის

შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანი და დღეისათვის არსებული რისკები კატასტროფულად მაღალია. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია:

- საწარმოს კუდსაცავებიდან წარმოქმნილი მძიმე მეტალებით დაბინძურებული მტვერი და მისი გავრცელება სასოფლო-სამეურნეო მიწებზე, რაც იწვევს ნიადაგის დაბინძურებას და საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას;
- არასწორად დაპროექტებული ფუჭი ქანების სანაყარო, რომელიც ვერ უზრუნველყოფს მჟავე ჩამონადენის გაჟონვისა და წყლის დაბინძურების თავიდან აცილებას;
- დაბინძურებული წყლის გაჟონვა ძირითადი და ძველი კუდსაცავების კაშხლებიდან;
- არასწორად დაპროექტებული კარიერული გუბურა, რაც მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების დაბინძურების მაღალ საფრთხეს ქმნის არა მარტო საწარმოს ოპერირების, არამედ მისი დახურვის შემდეგაც კი;

ძირითადი კუდსაცავის კაშხალი აშენებულია დაბა კაზრეთისა და მდინარე მაშავერის ხეობის ზემო წელში. ქვემო ქართლის რეგიონი, სადაც აღნიშნული წარმოება ფუნქციონირებს, სეისმურად აქტიურ ზონას მიეკუთვნება. მიწისძვრის შემთხვევაში, თუ მოხდება კაშხლის დაზიანება, ნარჩენები ჩაიღვრება მდინარე მაშავერის კალაპოტში (რომელიც გამოიყენება სასმელი და სარწყავი მიზნებისათვის). ეს გამოიწვევს მასშტაბურ ეროვნული თუ რეგიონული დონის ეკოლოგიურ კატასტროფას და საფრთხეს შეუქმნის ადამიანთა სიცოცხლეს.

საზოგადოებისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა ის პრობლემები, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს საყდრისის ოქროს საბადოს დამუშავების დაწყებამ. გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი, რომელიც კომპანია RMG-ის მიერ მომზადდა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიეწოდა გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად, არ განიხილავს მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც გარემოსდაცვით რისკებს უკავშირდება; კერძოდ:

- დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი მიმდებარე ტერიტორიების ფონური კვლევების მასალა, რაც შეუძლებელს გახდის გარემოს შესაძლო ზეგავლენის შეფასებას, რომელიც გამოწვეული იქნება საწარმოო პროცესის შედეგად;
- დოკუმენტში არ არის მოცემული სამთო-მოპოვებითი საქმიანობისათვის საჭირო ძირითადი ობიექტების დეტალური საინჟინრო გადაწყვეტილებები; არ არის განხილული აგრეთვე ამ ობიექტების (მათ შორის, ახალი კუდსაცავის) მდებარეობის ალტერნატივების ანალიზი მათი საუკეთესო მდებარეობის გამოსავლენად.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში მოცემული მნიშვნელოვანი პრობლემური საკითხების გარდა, ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ საყდრისის ოქროს საბადოს ქვედა ფენების მჟავიანობა საკმაოდ მაღალია. აღნიშნულიდან გამომდინარე, საბადოს ფუნქციონირებისას შეიძლება წარმოიქმნას ისეთი გარემოსდაცვითი პრობლემები, როგორსაც ადგილი აქვს მადნეულის სპილენძის საბადოს შემთხვევაში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აგრეთვე ის ფაქტი, რომ საყდრისი-ყაჩალიანის არქეოლოგიური ობიექტის გარშემო განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად გამოაშკარავა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში არსებული სისტემური

პრობლემების საქართველოში: მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების მცდარი პოლიტიკა; კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონის მიზნის უპატივცემულობა; კანონით განსაზღვრული რეგულაციებისა და კანონდარღვევების უგულვებლყოფა.

წიაღისეულის მომპოვებელი კერძო კომპანია “RMG Gold“-ის მოთხოვნით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ 2013 წლის 5 ივლისს ბათილად ცნო საყდრისი-ყაჩაღიანის პრეისტორიული სამთამადნო ძეგლის სტატუსი, ხოლო მოგვიანებით გაუქმდა საყდრისის არქეოლოგიური დაცვის ზონა.

საყდრისი-ყაჩაღიანი მე-20 საუკუნის 80-იან წლებში იქნა აღმოჩენილი. 2004 წლიდან ობიექტზე სისტემატურ კვლევას აწარმოებს ქართულ-გერმანული ექსპედიცია და მიიჩნევს, რომ მდარო დღემდე გამოვლენილ პრეისტორიულ ოქროს მდაროთაგან უძველესია და ძვ.წ. IV-III ათასწლეულებით თარიღდება. ადგილობრივ მეცნიერთა ერთი ჯგუფი ძეგლს II ათასწლეულის სპილენძის მდაროდ მიიჩნევს.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ ძეგლის სტატუსის გაბათილება ფორმალურ მიზეზს დაეფუძნა და არ მოხდა მისთვის სტატუსის ხელახლა მინიჭება, რითიც დაირღვა კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. ნუსხიდან ამოღების მიუხედავად, საყდრისი ინარჩუნებს არქეოლოგიური ობიექტის სტატუსს და მასზე სამუშაოების წარმოება მხოლოდ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროების ნებართვით შეიძლება. 2014 წლის 7 იანვარს კომპანია “RMG Gold“-მა საყდრისში დაიწყო უნებართვო სამუშაოები. მას შემდეგ, სპეციალისტებს ძეგლის ნახვის საშუალება აღარ აქვთ. კერძო კომპანიამ, სახელმწიფოს კუთვნილ ტერიტორიაზე 3-ჯერ არ დაუშვა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს მონიტორინგის ჯგუფი, რაც არღვევს კანონს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ.

2014 წლის 27 იანვარს კულტურის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სტრატეგიულმა და მეთოდოლოგიურმა სექციამ, რომელიც კანონმდებლობით არის განსაზღვრული და 11 პროფესიონალისაგან შედგება, განიხილა არქეოლოგების მიერ წარმოდგენილი მასალა და ერთხმად შეიმუშავა რეკომენდაცია საყდრისი-ყაჩაღიანისათვის ძეგლის სტატუსის აღდგენაზე. სამინისტრომ ეს რეკომენდაცია არ შეასრულა.

საყდრისი-ყაჩაღიანი დიდ ინტერესს აღძრავს საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში, რომლებიც ითხოვენ საერთაშორისო კომისიის ჩამოყალიბებასა და ძეგლის ბოლომდე შესწავლას. საყდრისის გადასარჩენად შეიქმნა ადვოკატორების ჯგუფები, რომლებშიც ჩართული არიან: აკადემიური წრეების, კულტურის, ხელოვნების, გარემოს დაცვის სფეროს წარმომადგენლები, სტუდენტები, ფართო საზოგადოების წარმომადგენლები. მიუხედავად ამისა, 2014 წლის 13 მარტს სამინისტრომ დადებითი დასკვნა გასცა საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტზე სამთო სამუშაოების საწარმოებლად. პროფესიული და სამოქალაქო საზოგადოების პროტესტი დღესაც გრძელდება. არქეოლოგიური მემკვიდრეობა ეწირება ფისკალურ და ბიზნესინტერესებს, რითაც ერთმნიშვნელოვნად ირღვევა ევროპული კონვენცია არქეოლოგიური ძეგლების დაცვის შესახებ (Valetta, 1992): ამ (განახლებული) კონვენციის მიზანია, „დაიცვას არქეოლოგიური მემკვიდრეობა, როგორც საერთო ევროპული მემკვიდრეობის წყარო და ისტორიული და სამეცნიერო კვლევის ინსტრუმენტი.“

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ აუცილებელია, სახელმწიფომ დამოუკიდებელი უცხოელი ექსპერტების დახმარებით განახორციელოს მადნეულისა და

საყდრისის საბადოების წიაღისეულის მოპოვებისა და დამუშავების მიმდინარე და მომავალში დაგეგმილი საქმიანობების კომპლექსური კვლევა. აუცილებელია, კვლევამ მოიცვას როგორც კულტურული მემკვიდრეობის, ისე გარემოსდაცვითი და ადამიანთა უფლებების დაცვის საკითხები. როდესაც ჩატარდება სათანადო კვლევა და შეფასდება ყველა რისკი, მხოლოდ მაშინ და ისიც საზოგადოებასთან აქტიური კომუნიკაციის საფუძველზე შესაძლებელია წარმოების განვითარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება.

სახელმწიფომ უნდა დაიწყოს წიაღისეულის მოპოვების კანონმდებლობის განახლებასა და მისი ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაზე მუშაობა და უზრუნველყოს ამ პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ აღნიშნული აქტივობების განხორციელებამდე სახელმწიფომ შეაჩეროს წიაღისეულის მოპოვების სფეროში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება.

<b>CENN</b> მისამართი: ბეთლემის ქუჩა 27, 0105, თბილისი, საქართველო ტელეფონი: +995 32 275 19 03 / 04 ფაქსი: +995 32 275 19 05 ელ-ფოსტა: <a href="mailto:info@cenn.org">info@cenn.org</a> <a href="http://www.cenn.org">www.cenn.org</a>	<b>ICOMOS საქართველო</b> მისამართი: ბეთლემის აღმართი 16 ბ, 0105, თბილისი, საქართველო ტელეფონი: +995 32 298 45 27 ფაქსი: +995 32 298 45 27 ელ-ფოსტა: <a href="mailto:info@icomos.org.ge">info@icomos.org.ge</a> <a href="http://www.icomos.org.ge">www.icomos.org.ge</a>
--	---